გორის რაიონული
სასამართლო

GORI REGIONAL
COURT

ქ. გორი, ს. ჯორბენაძის ქ. №30
ტელ: /8-270/ 7-31–58

Gori, S. Jorbenadze st. №30
Tel: /8-270/ 7-31_58

№3/101-16, 3/114-16,3/124-16 - 96 56 513

01. 07. 16 წ.

ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერია
მის. ქ. გორი სტალინის ქ. №16

გეგზავნებათ გორის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილების ასლი.

დანართი: 12 (თორმეტი) ფურც.

პატივისცემით,

ნინო შავდათუაშვილი

მოსამართლის თანაშემწე

საქმე № 140310116001322714, 140310016001350953,
140310116001356736
საქმე № 3/101-16, 3/114-16, 3/124-16

2625074292332
www.info.court.ge

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა
საქართველოს სახელით

29 ივნისი 2016 წელი

ქ. გორი

შესავალი ნაწილი

გორის რაიონული სასამართლო
მოსამართლე დავით პაპუაშვილი

სხდომის მდივანი ლანა დემურიშვილი

მოსარჩელე: ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერია
წარმომადგენლები: გიორგი ბატონისაშვილი და გერმან ადუაშვილი

მოპასუხე: ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო
წარმომადგენელი: ივანე ბალახაშვილი

მესამე პირები: ირაკლი ოქრუაშვილი (წარმომადგენელი ბონდო ვათიაშვილი), რამაზ შარიქაძე და გიორგი აფციაური

დავის საგანი: შტატგარეშე მოსამსახურეებად დანიშვნის ბრძანებების გათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

1. **სასარჩელო მოთხოვნა**

1.1. ირაკლი ოქრუაშვილის შტატგარეშე მოსამსახურედ - ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მრჩევლად დანიშვნის შესახებ 2016 წლის 18 მარტის № 23-013 ბრძანების გათილად ცნობა მისი გამოცემის მომენტიდან.

1.2. რამაზ შარიქაძის ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომების ტექნიკური უზრუნველყოფის მიზნით შტატგარეშე მოსამსახურედ დანიშვნის შესახებ საკრებულოს თავმჯდომარის 2016 წლის 5 აპრილის № 23-018 ბრძანების გათილად

ცნობა მისი გამოცემის მომენტიდან.

1.3. გიორგი აფციაურის შტატგარეშე მოსამსახურედ - ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების კომისიაში კონსულტანტად დანიშვნის შესახებ საკრებულოს თავმჯდომარის 2016 წლის 11 აპრილის № 23-020 ბრძანების გათვალად ცნობა მისი გამოცემის მომენტიდან.

სარჩელის თანახმად, საქართველოს ორგანულ კანონის - ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის თანახმად, მუნიციპალიტეტის შტატგარეშე მოსამსახურეთა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს გამგეობის/მერიის და საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა საშტატო რაოდენობის 10 პროცენტს. ქალაქ გორის მუნიციპალიტეტში მერიისა და საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა საშტატო რაოდენობა 125-ია; შესაბამისად, შტატგარეშე მოსამსახურეთა უნდა აღემატებოდეს 12,5-ს; მერიაში შტატგარეშე მოსამსახურეთა რაოდენობა არ 10-ს, რის გამოც საკრებულოში შტატგარეშე მოსამსახურეთა რაოდენობა შეადგენს აღემატებოდეს 2-ს (საერთო ჯამში 12-ს). მიუხედავად ამისა, საკრებულოს თავმჯდომარის მიერ შტატგარეშე მოსამსახურეებად მიღებული იქნენ ირაკლი ოქრუაშვილი (პირ. № 01030002424), რამაზ შარიქაძე (პირ. № 59001097403) და გიორგი აფციაური (პირ. № 5900122217), რომლებიც რიგითობით არიან მე-13, მე-14 და მე-15; ეს კი აღემატება კანონმდებლობით რეგლამენტირებულ ზღვრულ ოდენობას - 12-ს.

2. მოპასუხისა და მესამე პირთა პოზიცია

მოპასუხემ სარჩელი არ სცნო, მიუთითა და განმარტა, რომ, მართალია, ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიაში 10 შტატგარეშე მოსამსახურეა, მაგრამ ორი პირი, თავისი სამართლებრივი ბუნებიდან გამომდინარე, არ განეკუთვნება შტატგარეშე მოსამსახურეთა რიცხვს; ბადრი მიდოდაშვილი და ივანე გოგიაშვილი მერიაში დანიშნულები არიან, როგორც შტატგარეშე მოსამსახურეები, მძღოლებად; რეალურად ეს პირები არიან დამხმარე და არა შტატგარეშე მოსამსახურეები; შესაბამისად, მერიის შტატგარეშე მოსამსახურეთა რიცხვი უნდა განისაზღვროს არა 10-ით, არამედ 8-ით. ამასთან, ირაკლი ოქრუაშვილის დანიშვნის ბრძანება არის მე-13, და იმის გათვალისწინებით, რომ შტატგარეშე მოსამსახურეთა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 12,5-ს, მისი დანიშვნა არ ეწინააღმდეგება კანონმდებლობას.

გარდა ამისა, ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ყავს 5 კომისია; კანონმდებლობით გათვალისწინებულია, რომ კომისიაში შესაძლებელია, მოწვეულ იქნეს სხვა პირიც; შესაბამისად, ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის შტატგარეშე მოსამსახურეთა რაოდენობის განსაზღვრისას გათვალისწინებული უნდა იქნეს ეს საკითხიც.

ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 16 ივნისის ბრძანებებით 2014 წლის 15 აგვისტოს დავით გუდაძესთან, ხოლო 2016 წლის 11 აპრილს გიორგი

აფციაურთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები შეწყდა 2016 წლის 23 ივნისიდან, და დარჩა სამი პირი - ივანე ბალახაშვილი, ირაკლი ოქრუაშვილი და რამაზ შარიქაძე; შესაბამისად, საკრებულოში შტატგარეშე მოსამსახურეთა რაოდენობა შეესაბამება ზღვრულ ოდენობას - 3-ს.

მესამე პირებმა სარჩელი ასევე არ ცნეს, მიუთითეს და განმარტეს, რომ მათთვის უცნობი იყო შტატგარეშე მოსამსახურეთა რაოდენობის შესახებ; ამასთან, გასაჩივრებული ბრძანებები წარმოადგენს აღმჭურველი სახის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს, რომლის მიმართაც მათ გააჩნიათ კანონიერი ნდობა.

3. ფაქტობრივი გარემოებები

3. 1. უდავო ფაქტობრივი გარემოებები

მხარეთა შორის უდავო ფაქტობრივი გარემოებები არ დადგენილა.

3.2. დადგენილი სადავო ფაქტობრივი გარემოებები

3.2.1. ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 5 და 9 იანვრის განკარგულებებით ცვლილება შევიდა საკრებულოს 2014 წლის 2 აგვისტოს № 7 და № 8 განკარგულებებში და ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო მოსამსახურეთა, თანამდებობის პირების საშტატო სტრუქტურა, რანგირება და საშტატო განრიგი მთლიანად განისაზღვრა 111 საშტატო ერთეულით, ხოლო ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხა - 14 ერთეულით, სულ - 125 საშტატო ერთეული;

მტკიცებულებები: ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 5 იანვრის № 2 და 2015 წლის 9 იანვრის № 7განკარგულებები.

3.2.2. ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიის 2016 წლის 4, 5, 12 იანვრისა და 3 თებერვლის ბრძანებებით მერიის შტატგარეშე მოსამსახურეებად დანიშნულ იქნა 10 პირი;

მტკიცებულებები: ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიის 2016 წლის 4 იანვრის № 13-002, 13-003, 2016 წლის 5 იანვრის № 13-004, № 13-005, № 13-006, № 13-007, № 13-008, № 13-009, 2016 წლის 12 იანვრის № 13-010, 2016 წლის 3 თებერვლის № 13-022 ბრძანებები და ხელშეკრულებები.

3.2.3. ამ შტატგარეშე მოსამსახურეებიდან ბადრი მიდოდაშვილი და ივანე გოგიაშვილი დანიშნულ იქნენ მძღოლებად 6 თვის ვადით;

მტკიცებულებები: ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიის 2016 წლის 5 იანვრის № 13-008, № 13-009 ბრძანებები.

3.2.4. ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 4 და 15 აგვისტოს, 2016 წლის 4 იანვრის, 17 და 18 მარტის, 5 და 11 აპრილის ბრძანებებით საკრებულოს შტატგარეშე მოსამსახურეებად დანიშნულ იქნა 6 პირი;

მტკიცებულება: ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 4 აგვისტოს № 23-010, 15 აგვისტოს № 23-012, 2016 წლის 4 იანვრის № 23-001, 17 მარტის № 23-012, 18 მარტის № 23-013, 5 აპრილის № 23-018 და 11 აპრილის № 23-020 ბრძანებები.

3.2.5. ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 25 მარტის ბრძანებით ნიკოლოზ ბურდულთან 2016 წლის 4 იანვრის № 23-001 ბრძანებით გაფორმებული ხელშეკრულება შეწყდა 2016 წლის 1 აპრილიდან, ხოლო 2016 წლის 11 აპრილის ბრძანებით ბათილად იქნა ცნობილი გიორგი აფციაურის შტატგარეშე მოსამსახურედ მიღების შესახებ 2016 წლის 17 მარტის № 23-012 ბრძანება; გიორგი აფციაური იმავე დღეს - 2016 წლის 11 აპრილს კვლავ დაინიშნა საკრებულოს შტატგარეშე მოსამსახურედ.

მტკიცებულება: ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 25 მარტის № 23-016 და 2016 წლის 11 აპრილის № 23-019, 2016 წლის 11 აპრილის № 23-019 ბრძანებები.

3.2.6. ირაკლი ოქრუაშვილი შტატგარეშე მოსამსახურედ - ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მრჩევლად დაინიშნა 2016 წლის 18 მარტის № 23-013, რამაზ შარიქაძე საკრებულოს სხდომების ტექნიკური უზრუნველყოფის მიზნით შტატგარეშე მოსამსახურედ დაინიშნა 2016 წლის 5 აპრილის № 23-018, ხოლო გიორგი აფციაური, როგორც აღინიშნა **3.2.5.** ფაქტობრივ გარემოებაში, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების კომისიაში კონსულტანტად დაინიშნა 2016 წლის 11 აპრილის № 23-020 ბრძანებებით.

მტკიცებულება: მითითებული ბრძანებები.

3.2.7. იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ ნიკოლოზ ბურდულთან შეწყდა შრომითი ურთიერთობა 2016 წლის 25 მარტის ბრძანებით, ხოლო გიორგი აფციაურის შტატგარეშე მოსამსახურედ დანიშვნის შესახებ 2016 წლის 17 მარტის ბრძანება ბათილად იქნა ცნობილი, ირაკლი ოქრუაშვილი წარმოადგენდა ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის (მერიისა და საკრებულოს) რიგით მე-13, რამაზ შარიქაძე - რიგით მე-14, ხოლო გიორგი აფციაური - რიგით მე-15 შტატგარეშე მოსამსახურეებს.

მტკიცებულება: მხარეთა ახსნა-განმარტება, **3.2.5.** და **3.2.6.** ფაქტობრივი გარემოებები.

3.2.8. ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიის 2016 წლის 11 აპრილის მიმართვით საკრებულოს ეცნობა, რომ, რადგან მუნიციპალიტეტის შტატგარეშე მოსამსახურეთა რიცხვი არ უნდა აღემატებოდეს 13-ს, საკრებულომ გაითვალისწინოს, რომ ირაკლი

ოქრუაშვილის შტატგარეშე მოსამსახურედ მიღება აღემატება საკრებულოს კვოტას - 3-ს.

მტკიცებულება: ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიის 2016 წლის 11 აპრილის № 1099 მიმართვა.

3.2.9. ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 16 ივნისის გრძანებებით 2014 წლის 15 აგვისტოს დავით გუდაძესთან, ხოლო 2016 წლის 11 აპრილს გიორგი აფციაურთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები შეწყდა 2016 წლის 23 ივნისიდან, ხოლო 2016 წლის 17 ივნისის გრძანებებით ისინი კვლავ დაინიშნენ საკრებულოს შტატგარეშე მოსამსახურეებად იმავე პოზიციებზე.

მტკიცებულება: ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 16 ივნისის № 23-035 და № 23-036, 2016 წლის 17 ივნისის № № 23-040 და № 23-041 გრძანებები.

სამოტივაციო ნაწილი:

4. შემაჯამებელი სასამართლო დასკვნა

სასამართლომ განიხილა რა მოცემული საქმე, მიაჩნია, რომ სარჩელი ირაკლი ოქრუაშვილის შტატგარეშე მოსამსახურედ დანიშვნის ნაწილში არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო რამაზ შარიქაძისა და გიორგი აფციაურის დანიშვნის ნაწილში უნდა დაკმაყოფილდეს, რამდენადაც ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მერიაში შეს ბლებულია, იყოს 13 შტატგარეშე მოსამსახურე, ირაკლი ოქრუაშვილი წარმოადგენს ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის (მერიისა და საკრებულოს) რიგით მე-13, რამაზ შარიქაძე - რიგით მე-14, ხოლო გიორგი აფციაური - რიგით მე-15 შტატგარეშე მოსამსახურეებს; შესაბამისად, რამაზ შარიქაძისა და გიორგი აფციაური შტატგარეშე მოსამსახურეებად დანიშვნა ეწინააღმდეგება კანონმდებლობას.

5. კანონები, რომლითაც სასამართლომ იხელმძღვანელა

საქართველოს ორგანული კანონის - ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 28-ე მუხლის მე-2 ნაწილი, 156-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილები, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60[1] მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილები, მე-4 და მე-5 ნაწილები, მე-7 ნაწილი, „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 და მე-8 მუხლები.

6. სამართლებრივი შეფასება

საქართველოს ორგანული კანონის - ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 156-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილების მიხედვით, გამგეობის/მერიის და საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა საშტატო ნუსხებით გათვალისწინებულ ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოსამსახურეთა საშტატო რაოდენობაა არანაკლებ 30 ერთეულისა. იმ მუნიციპალიტეტში, სადაც ამომრჩეველთა რაოდენობა 45000-ზე მეტია, საჯარო მოსამსახურეთა საშტატო რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს საჯარო მოსამსახურეთა მინიმალური რაოდენობის (30 საშტატო

ერთეული), შესაბამის საკრებულოში 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოების არჩევნებისათვის დადგენილი მაჟორიტარული ოლქების რაოდენობის 3.2 კოეფიციენტზე ნამრავლისა და თვითმმართველ ერთეულში რეგისტრირებულ ყოველ 450 ამომრჩეველზე 1 საშტატო ერთეულის დამატებით მიღებულ ჯამს. იმ მუნიციპალიტეტში, სადაც ამომრჩეველთა რაოდენობა 45 000-ზე მეტია, საჯარო მოსამსახურეთა საშტატო რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს საჯარო მოსამსახურეთა მინიმალური რაოდენობის (30 საშტატო ერთეული), შესაბამის საკრებულოში 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოების არჩევნებისათვის დადგენილი მაჟორიტარული ოლქების რაოდენობის 2.3 კოეფიციენტზე ნამრავლისა და თვითმმართველ ერთეულში რეგისტრირებულ ყოველ 500 ამომრჩეველზე 1 საშტატო ერთეულის დამატებით მიღებულ ჯამს; მუნიციპალიტეტის შტატგარეშე მოსამსახურეთა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს გამგეობის/მერიის და საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა საშტატო რაოდენობის 10 პროცენტს.

დადგენილია და სადავო არაა, რომ ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 5 და 9 იანვრის განკარგულებებით ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო მოსამსახურეთა, თანამდებობის პირების საშტატო სტრუქტურა, რანგირება და საშტატო განრიგი მთლიანად განისაზღვრა 111 საშტატო ერთეულით, ხოლო ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხა - 14 ერთეულით, სულ - 125 საშტატო ერთეულით;

იმის გამო, რომ მუნიციპალიტეტის შტატგარეშე მოსამსახურეთა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს გამგეობის/მერიის და საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა საშტატო რაოდენობის 10 პროცენტს, ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მერიის შტატგარეშე მოსამსახურეთა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 12,5-ს (125 საშტატო ერთეულის 10%-ი).

მოცემულ შემთხვევაში მსჯელობის საგანს წარმოადგენს, შტატგარეშე მოსამსახურეთა ზღვრული რაოდენობა უნდა განისაზღვროს 12, თუ 13 ერთეულით, რამდენადაც 125 საშტატო ერთეულის 10%-ის გამოანგარიშებით (12,5) შეუძლებელია ამ რაოდენობის ზუსტად განსაზღვრა.

რამდენადაც საკანონმდებლო ჩანაწერით ზუსტად, მკაცრად და იმპერატიულად არაა განსაზღვრული შტატგარეშე მოსამსახურეთა კონკრეტული რაოდენობა, როგორც ეს, მაგალითად, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის იმავე 156-ე მუხლში 30 საშტატო ერთეულზეა აღნიშნული, და ამ მოსამსახურეთა რაოდენობა პროცენტულ მაჩვენებლითაა გამოხატული, სასამართლოს მიაჩნია, რომ 125 საშტატო ერთეულის 10%-იანი წილი (12,5) შესაძლებელია 13 ერთეულით განისაზღვროს;

სასამართლო ამგვარ მსჯელობას ავითარებს იმ გარემოებიდან გამომდინარეც, რომ, არითმეტიკული დამრგვალების წესების მიხედვით, 12,5 ნიშნავს 12-ზე მეტს.

…გამომდინარე, ისეთ ვითარებაში, როდესაც ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მერიის საშტატო რაოდენობა 125-ია, მისი 10%-ის 13-ით განსაზღვრა არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორგანულ კანონის - ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 156-ე მუხლის მოთხოვნებს, და შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში 13 შტატგარეშე მოსამსახურის ყოფნა კანონიერად უნდა ჩაითვალოს.

აღსანიშნავია, რომ თვით მოსარჩელე მერიის პოზიციაც მდგომარეობდა იმაში, რომ, 125 საშტატო ერთეულის პირობებში, მუნიციპალიტეტის შტატგარეშე მოსამსახურეთა რიცხვი არ უნდა აღემატებულიყო 13-ს (იხ. **3.2.8.** ფაქტობრივი გარემოება და ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიის 2016 წლის 11 აპრილის № 1099 მიმართვა).

დადგენილია და მხარეთა შორისაც არ იწვევს დავას ის, რომ იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ ნიკოლოზ ბურდულთან შეწყდა შრომითი ურთიერთობა 2016 წლის 5 მაისის ბრძანებით, ხოლო გიორგი აფციაურის შტატგარეშე მოსამსახურედ დანიშვნის შესახებ 2016 წლის 17 მარტის ბრძანება ბათილად იქნა ცნობილი, ირაკლი ოქრუაშვილი წარმოადგენდა ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის (მერიისა და საკრებულოს) რიგით მე-13, რამაზ შარიქაძე - რიგით მე-14, ხოლო გიორგი აფციაური - რიგით მე-15 შტატგარეშე მოსამსახურეებს.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილების თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები; ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების ან გამოცემის წესის არსებით დარღვევად ჩაითვლება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ამ კოდექსის 32-ე ან 34-ე მუხლით გათვალისწინებული წესის დარღვევით ჩატარებულ სხდომაზე ან კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების სახის დარღვევით, ანდა კანონის ისეთი მოთხოვნის, რომლის არარსებობის შემთხვევაში მოცემულ საკითხზე მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება.

ზემოაღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, ირაკლი ოქრუაშვილის დანიშვნით ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს შტატგარეშე მოსამსახურეთა რაოდენობა გახდა 13, რაც შესაბამისობაშია და არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორგანული კანონის - ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 156-ე მუხლის დანაწესს და ბათილად ცნობილი ვერ იქნება, ხოლო რამაზ შარიქაძისა და გიორგი აფციაურის დანიშვნით მოხდა შტატგარეშე მოსამსახურეთა ზღვრული რაოდენობის გადაჭარბება, რაც წინააღმდეგობაშია მითითებულ ნორმასთან და ამ ბრძანებათა ბათილად ცნობის სასარჩელო მოთხოვნა საფუძვლიანია.

სასამართლო ვერ გაიზიარებს მოპასუხის პოზიციას, რომ მერიაში შტატგარეშე მოსამსახურეებად დანიშნული მძღოლები (ბადრი მიდოდაშვილი და ივანე

გოგიაშვილი) რეალურად არიან დამხმარე და არა შტატგარეშე მოსამსახურეები, და მერიის შტატგარეშე მოსამსახურეთა რიცხვი უნდა განისაზღვროს არა 10-ით, არამედ 8-ით.

,,საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლის თანახმად, დამხმარე მოსამსახურე არის ტექნიკური მუშაკი, რომელიც შრომითი ხელშეკრულებით მიიღება დაწესებულების შტატით გათვალისწინებულ დამხმარე მოსამსახურის თანამდებობაზე, ხოლო იმავე კანონის მე-8 მუხლის მიხედვით, შტატგარეშე მოსამსახურე არის პირი, რომელიც დანიშვნით ან შრომითი ხელშეკრულებით გარკვეული ვადით მიიღება სამსახურში არამუდმივ ამოცანათა შესასრულებლად.

მითითებული ნორმის ანალიზი ცხადყოფს, რომ დამხმარე მოსამსახურის თანამდებობა გათვალისწინებული უნდა იყოს შტატით, ანუ განსაზღვრული და დამტკიცებული უნდა იყოს მისი თანამდებობა საშტატო ნუსხით, ხოლო შტატგარეშე მოსამსახურე მიიღება შტატით გაუთვალისწინებელი საქმიანობის შესასრულებლად.

დადგენილია და სადავო არაა, რომ ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 5 და 9 იანვრის განკარგულებებით ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო მოსამსახურეთა, თანამდებობის პირების საშტატო სტრუქტურა, რანგირება და საშტატო განრიგი მთლიანად განისაზღვრა 111 საშტატო ერთეულით, სადაც მძღოლის შტატი გათვალისწინებული საერთოდ არაა; შესაბამისად, მერიაში ორი პირი მძღოლებად მიღებულ იქნენ როგორც შტატგარეშე მოსამსახურეები, და ისინი დამხმარე მოსამსახურეებად ვერ ჩაითვლებიან.

ასევე საქართველოს ორგანულ კანონის - ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 28-ე მუხლის მე-2 ნაწილის ჩანაწერი, რომ მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიაში სამუშაოდ, დროებით ან კომისიის უფლებამოსილების ვადით შეიძლება სხვა პირთა მოწვევაც, არ გულისხმობს იმავე კოდექსის 156-ე მუხლით განსაზღვრული შტატგარეშე მოსამსახურეთა ზღვრული ოდენობის გადაცილების შესაძლებლობას.

სასამართლო ვერ გაიზიარებს მესამე პირთა პოზიციას, რომ მათი დანიშვნის გრძანებულებისადმი, როგორც აღმჭურველი სახის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებისადმი, არსებობს კანონიერი ნდობა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60[1] მუხლის მე-4 და მე-5 ნაწილების თანახმად, დაუშვებელია კანონსაწინააღმდეგო აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, თუ დაინტერესებულ მხარეს კანონიერი ნდობა აქვს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიმართ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არსებითად არღვევს სახელმწიფო, საზოგადოებრივ ან სხვა პირის კანონიერ უფლებებს ან ინტერესებს; დაინტერესებული მხარის კანონიერი ნდობა არსებობს იმ შემთხვევაში, თუ მან ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე განახორციელა

იურიდიული მნიშვნელობის მოქმედება და უკანონო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობით მას მიადგება ზიანი. კანონიერი ნდობა არ არსებობს, თუ მას საფუძვლად უდევს დაინტერესებული მხარის უკანონო ქმედება.

მითითებულ ნორმებთან დაკავშირებით საქართველოს უზენაესმა სასამართლომ განმარტა, რომ უნდა შეფასდეს ადმინისტრაციული სამართლისათვის უმნიშვნელოვანესი კანონიერებისა და კანონიერი ნდობის პრინციპებს შორის კონფლიქტი და თანაზომიერების პრინციპის მეშვეობით დადგინდეს, თუ რომელი პრინციპის დაცვა არის კონკრეტულ შემთხვევაში პრიორიტეტული, რომელი პრინციპია აღმატებული ხარისხის და რომლის უზრუნველყოფა არის დაცვის ღირსი (იხ. სუს განჩინება, საქმე №ბს-192-184 (3კ-13), 16 ივლისი, 2013 წელი).

საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ აღმჭურველი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად გამოცხადების საფუძველია მმართველობის „კანონიერების პრინციპი", რომელიც მოითხოვს კანონიერების აღდგენის მიზნით უკანონო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გაუქმებას.

ამ მნიშვნელოვან პრინციპს უპირისპირდება კანონმდებლის მიერ აღიარებული „ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიმართ დაინტერესებული მხარის კანონიერი ნდობის პრინციპი".

ორივე პრინციპი კონსტიტუციური რანგისაა და გამომდინარეობს სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპიდან.

ამდენად, შეუძლებელია ცალსახად პრობლემის გადაწყვეტა. ადმინისტრაციული წარმოების ამოცანაა, კონკრეტული პრობლემის გადაწყვეტისას მოახდინოს ამ ორი პრინციპის შეპირისპირება და თანაზომიერი გადაწყვეტილების მიღება.

დაინტერესებული მხარის კანონიერი ნდობა არ არის დაცვის ღირსი, ანუ სახეზე არ არის კანონიერი ნდობა, თუ: ა) მას საფუძვლად უდევს დაინტერესებული მხარის უკანონო ქმედება (მაგ., არასწორი მონაცემების ან ყალბი დოკუმენტების წარდგენა თუ მოსყიდვა), ბ) ან, როდესაც მისთვის ამ აქტის უკანონობა ცნობილი იყო ან უნდა სცოდნოდა (იხ. სუს იგივე განჩინება).

კანონმდებლობით უკანონო აღმჭურველ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს არ მიიჩნევს [illegible] სამართლებრივი დაცვის ობიექტად, თუ მისი სამართლებრივი შედეგებით დაირღვა სახელმწიფო, საზოგადოებრივი ან სხვა პირის კანონიერი უფლებები ან კანონიერი ინტერესები, რამდენადაც აქტის კანონიერებისა და აქტის ადრესატის კანონიერი ნდობის უფლების კონფლიქტის, კონკურენციის პირობებში კანონმდებელი პრიორიტეტულად მიიჩნევს კანონიერი ნდობის უფლების

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ სასამართლო ორგანოები სასარჩელო წესით აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების შემოწმებისას ვერ შეაფასებენ აქტის ადრესატის კანონიერი ნდობის უფლებას, შესაბამისად, ვერც დაიცავენ მას, რამდენადაც აქტის ადრესატს კანონიერი ნდობა წარმოეშვება მხოლოდ აქტის კანონიერ ძალაში შესვლის, ანუ: 1. აქტის გასაჩივრების ვადის გასვლის; ან 2. აქტის გასაჩივრების შემთხვევაში მის უცვლელად დატოვების შემდგომ.

სწორედ აქტის კანონიერ ძალაში შესვლა იწვევს აქტის ადრესატის კანონიერი ნდობის უფლების წარმოშობას, და ამ უფლების დაცვა პრიორიტეტულ ხასიათს იძენს კანონიერების პრინციპთან მიმართებით (იხ. სუს იგივე განჩინება).

ამდენად, სამართალწარმოების მიმდინარეობისას ადმინისტრაციული სასამართლოს მხრიდან გასაჩივრებული აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ადრესატის კანონიერი ნდობის უფლების შეფასება დაუშვებელია და არამართლებრივი მიდგომაა, ვინაიდან ასეთ პირობებში შეუძლებელი იქნება მოსარჩელის კანონიერი ინტერესების დაცვა.

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60¹ მუხლის მე-7 ნაწილის საფუძველზე განეკუთვნება აქტის გამომცემი ადმინისტრაციულ ორგანოთა დისკრეციულ უფლებამოსილებას. სასამართლო ხელისუფლება გასაჩივრებული აქტის ბათილობისას ხელმძღვანელობს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლით. საპროცესო კანონმდებლობით იგი არ არის აღჭურვილი, განსაზღვროს სადავო აქტის მოქმედების შეწყვეტის თარიღები (იხ. სუს იგივე განჩინება).

დადგენილია, რომ სადავო აქტები გასაჩივრდა სასამართლოში კანონით დადგენილ ერთთვიან ვადაში, და შესაბამისად, არ არსებობს ამ აქტებისადმი მისი ადრესატების (მესამე პირების) კანონიერი ნდობის უფლება.

სასამართლო არ მსჯელობს და შეფასებას არ აძლევს იმ ფაქტობრივ გარემოებებს, რომ ქალაქ [illegible] მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 16 ივნისის ბრძანებებით 2014 წლის [illegible] აფციაურის დავით [illegible]ძესთან, ხოლო 2016 წლის 11 აპრილს გიორგი აფციაურთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები შეწყდა 2016 წლის 23 ივნისიდან, ხოლო 2016 წლის 17 ივნისის ბრძანებებით ისინი კვლავ დაინიშნენ საკრებულოს აპარატში მოსამსახურეებად იმავე პოზიციებზე, და განმარტავს, რომ მოცემულ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენს ირაკლი ოქრუაშვილის, რამაზ შარ[illegible] და გიორგი აფციაურის შტატგარეშე მოსამსახურეებად დანიშვნის შესახებ 2016 წლის 18 მარტის № 23-013, 2016 წლის 5 აპრილის № 23-018 და 2016 წლის 11 აპრილის № 23-020 ბრძანებების კანონიერების საკითხი, რაზეც იმსჯელა კიდეც სასამართლომ.

[illegible] ჯამში, სასამართლოს მიაჩნია, რომ გასაჩივრებული აქტებიდან ირაკლი [illegible]ილის შტატგარეშე მოსამსახურედ დანიშვნის ბრძანების გამოცემით კანონის [illegible]ვნები არ დარღვეულა, და შესაბამისად, სარჩელი ამ ნაწილში უსაფუძვლოა, [illegible] რამაზ შარიქაძისა და გიორგი აფციაურის მიმართ სადავო აქტების გამოცემით [illegible]ად დაირღვა საქართველოს ორგანული კანონის - ადგილობრივი [illegible]ობის კოდექსის მოთხოვნები და ბათილად უნდა იქნენ ცნობილი მათი [illegible]ან.

7. [illegible]ოცესო ხარჯები

[illegible]ველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილის [illegible] ადმინისტრაციული სამართალწარმოებისას საქართველოს სამოქალაქო [illegible]ექსის ნორმები გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ კოდექსით [illegible]არ არის გათვალისწინებული.

[illegible]ველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის 1-ლი ნაწილის [illegible], იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც [illegible]ქანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე [illegible]ული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების [illegible]ან. თუ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მაშინ ამ მუხლში [illegible] თანხა მოსარჩელეს მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის [illegible]ულად, რომელიც სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნა [illegible]ული, ხოლო მოპასუხეს – სარჩელის მოთხოვნის იმ ნაწილის [illegible]ულად, რომელშიც მოსარჩელეს უარი ეთქვა.

[illegible]ექსის 55-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სარჩელზე უარის თქმისას [illegible]ველოს მიერ გაწეული ხარჯები გადახდება მოსარჩელეს სახელმწიფო ბიუჯეტის [illegible].

[illegible]ულიდან გამომდინარე, ირაკლი ოქრუაშვილის დანიშვნის ბრძანების ბათილად [illegible] შესახებ სარჩელზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 100 ლარი უნდა დარჩეს [illegible]ფო ბიუჯეტის სასარგებლოდ გადახდილად, რადგან ამ ნაწილში სარჩელი არ [illegible]ა, ხოლო რამაზ შარიქაძისა და გიორგი აფციაურის სარჩელებზე [illegible] სახელმწიფო ბაჟი - სულ 200 ლარი უნდა აუნაზღაურდეს მერიას [illegible]ს მხრიდან, რამდენადაც სარჩელი ამ ნაწილში დაკმაყოფილდა.

8. [illegible]ველყოფის ღონისძიებებთან დაკავშირებული საკითხები

[illegible], სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება მიღებული არ ყოფილა.

სარეზოლუციო ნაწილი:

[illegible] ხელმძღვანელა რა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო [illegible]ქსის 1-ლი, მე-4, მე-12, მე-19, 22-ე, 32-ე მუხლებით,